20160101

5 იანვარი, 2015 წ.

საქართველოს მთავარ პროკურატურას

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების თანახმად, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. რამდენი განცხადება/საჩივარი შემოვიდა საქართველოს პროკურატურაში 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით;
2. რა შედეგებით დასრულდა/რა მსვლელობა მიეცა აღნიშნულ განცხადებებს/საჩივრებს, მათ შორის: რამდენ შემთხვევაში დადგა გამამტყუნებელი განაჩენი; რამდენ შემთხვევაში დადგა გამამართლებელი განაჩენი; რამდენ შემთხვევაში შეწყდა საქმის წარმოება მოსამართლის მიერ შესაბამისი განჩინების მიღების შემდეგ საქმეში არასაკმარისი მტკიცებულებების არსებობის გამო; რამდენ შემთხვევაში იქნა გამოყენებული განრიდება; რამდენ შემთხვევაში გაფორმდა საპროცესო შეთანხმება; რამდენ შემთხვევაში დასრულდა სისხლის სამართლის საქმეზე წარმოება სხვა მიზეზით; რამდენ შემთხვევაზე მიმდინარეობს ჯერ კიდევ სისხლის სამართლის საქმეზე წარმოება;
3. რამდენი განცხადება/საჩივარი შემოვიდა საქართველოს პროკურატურაში 2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით, რომლითაც მოქალაქეები საჯარო მოხელეთა მხრიდან მათი ან მათი ოჯახის წევრების მიმართ განხორციელებულ უკანონო ქმედებებზე მიუთითებდნენ და ითხოვდნენ ფაქტებზე გამოძიების დაწყებას;
4. აღნიშნული განცხადებებიდან/საჩივრებიდან რამდენი შეეხებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომელთა და სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულებს, და რამდენი უკავშირდებოდა ქონების უკანონოდ ჩამორთმევის შემთხვევებს;
5. რა შედეგებით დასრულდა/რა მსვლელობა მიეცა ამ წერილის მესამე პუნქტში მითითებულ განცხადებებს/საჩივრებს, მათ შორის: რამდენ შემთხვევაში დადგა გამამტყუნებელი განაჩენი; რამდენ შემთხვევაში დადგა გამამართლებელი განაჩენი; რამდენ შემთხვევაში შეწყდა საქმის წარმოება მოსამართლის მიერ შესაბამისი განჩინების მიღების შემდეგ საქმეში არასაკმარისი მტკიცებულებების არსებობის გამო; რამდენ შემთხვევაში იქნა გამოყენებული განრიდება; რამდენ შემთხვევაში გაფორმდა საპროცესო შეთანხმება; რამდენ შემთხვევაში დასრულდა სისხლის სამართლის საქმეზე წარმოება სხვა მიზეზით; რამდენ შემთხვევაზე მიმდინარეობს ჯერ კიდევ სისხლის სამართლის საქმეზე წარმოება.

აღნიშნული ინფორმაცია გთხოვთ მოგვაწოდოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად, გთხოვთ, ის ინფორმაცია, რომელიც იწარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მოგვაწოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე - info@idfi.ge, ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით.

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მზად არის, გადაიხადოს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

პატივისცემით,
გიორგი კლდიაშვილი

დირექტორი